

მოგესალმებით!

სეროზული გამოწვევების წინაშე დგას დღეს ჩვენი ქვეყანა და შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ როგორც ცენტრალური, ასევე სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ საზოგადოებას გავუჩინოთ საფუძვლიანი განცდა იმისა, რომ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა ვიაროთ ევროპის გზით, დავამკვიდროთ ევროპული ხარისხი, ორიენტირებული ვიყოთ ადამიანთა კეთილდღეობაზე და ხვალინდელი დღე გაცილებით უკეთესი გავხადოთ.

შეინიშნება კიდევ პოზიტიური ძვრები, დადებითი ტენდენციები თითქმის ყველა სფეროში. მთავრობა მობილიზებულია დაამარცხოს ჯერაც არსებული პრობლემები, რასაც უმუშევრობა, სიღარიბე ჰქვია. ამაზე მიუთითებს თუნდაც უამრავი სოციალური, ინფრასტრუქტურული, სხვადასხვა პროექტები, რომლებიც ქალაქად თუ სოფლად განხორციელდა ან ხორციელდება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის 60 დადგენილებით და განისაზღვრა 6478,5 ათ ლარით

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პირველი ცვლილების საფუძველი იყო 2019 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთის განაწილება მუნიციპალიტეტის 2019 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 3 254 084 ლარი საიდანაც 84351,55 ლარი ბანკში ანგარიშზე არსებული ნაშთია ხოლო 3 169 732 (სამი მილიონ ასსამოცდაცხრა ათასშვიდასოცდათორმეტი) მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშებზე განთავსებული ნაშთი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეორე ცვლილების საფუძველი გახლდათ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 თებერვლის 331 განკარგულება, (2018 წლის 31 დეკემბრის 2577 განკარგულებაში ცვლილება) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 2 730 402 ლარი, ასევე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის 208 განკარგულება, (2019 წლის 22 იანვრის 45 განკარგულებაში ცვლილება) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 620 000 ათასი ლარი, ასევე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ “ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე

დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის #13 განკარგულების შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის 2019 წლის 18 თებერვალს სახაზინო ანგარიშზე ჩარიცხლი თანხა 43 744.18

ლარის ოდენობით და 2019 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული დარჩენილი გაუნაწილებელი ნაშთის 1435864. 66 ლარის განაწილება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მესამე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის 13 განკარგულება „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ და მასში შეტანილი ცვლილება 2019 წლის 8 თებერვლის 207 განკარგულება, (ასევე 2019 წლის 28 მარტის 675 განკარგულება „ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე), რის საფუძველზეც საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის, მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვა 310,0 ათ.ლარის ოდენობით .ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 13126,7ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეოთხე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის 788 განკარგულება, (2018 წლის 31 დეკემბრის 2577 განკარგულებაში ცვლილება) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 2 914 923 ლარი, ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 მარტის 674 განკარგულება, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს ამბულატორიული მომსახურების მიწოდების მიზნით საჯარო შენობების სარეაბილიტაციო და სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით გამოეყო 208 000 ლარი, .ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 13829.2ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეხუთე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 აპრილის 841 განკარგულება, (2019 წლის 15 მარტის 554 განკარგულებაში ცვლილება) ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 356 282 ლარი, ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასევე ცვლილების საფუძველია საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ “ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის #13 განკარგულების შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის 2019 წლის 30 აპრილში სახაზინო ანგარიშზე ჩარიცხული თანხა 58 828.38 ლარის ოდენობით, ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მორიგი ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 აპრილის 982 განკარგულება, (2018 წლის 31 დეკემბრის 2577 განკარგულებაში ცვლილება) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 3190,0 ლარი.ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 14311,4ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეექვსე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 აპრილის 987 განკარგულება, (2019 წლის 336 26 თებერვლის განკარგულებაში ცვლილება), რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს 2018 – 2019 წლების სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოეყო 215,0 ათ.ლარი.ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 14526,4ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეშვიდე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 მაისის 1119 განკარგულება, (2019 წლის 12 აპრილის 815 განკარგულებაში ცვლილება), რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან ქ.ცაგერში სპორტული დარბაზის მშენებლობის დასრულებისათვის გამოეყო 341,590 ათ.ლარი , ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 მაისის 1125 განკარგულება, (2018 წლის 31 დეკემბრის 2577 განკარგულებაში ცვლილება), რის საფუძველზეც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 2 657,658 ლარი,.ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 15335,6ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მერვე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ივნისის 1284 განკარგულება, (2019 წლის 15 მარტის 557 განკარგულებაში ცვლილება), რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 379 964 ლარი , .ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 15715,6ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეცხრე ცვლილების საფუძველია საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ “ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის #13 განკარგულების შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის დაფინანსება თანხით 46067.18 ლარი, ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 15761,7 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეათე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 ივნისის 1371 განკარგულება, (2019 წლის 25 აპრილის 983 განკარგულებაში ცვლილება) ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 728 362 ლარი, ლარი, ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 16238.0 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეთერთმეტე ცვლილების საფუძველია საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ “ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის #13 განკარგულების შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის დაფინანსების ხელშეკრულება (თან ახლავს), თანხით 127811.84 ლარი, რომელიც შემოსულობებში აისახება გრანტებში, ხოლო გადასახდელებში

მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება და საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება 127811,84 ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეთერთმეტე ცვლილების საფუძველია აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 ივლისის 1510 განკარგულება, (2019 წლის 15 მარტის 554 განკარგულებაში ცვლილება) ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 696 949 ლარი, (განკარგულება თან ახლავს) რომელიც შემოსულობების ნაწილში აისახება გრანტებში, ხოლო ხარჯებში

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (სკვერებისა და ფასადების მოწყობა) – 696 949 ათ.ლარი; (განკარგულება თან ერთვის). აღნიშნული ცვლილებით ხდება მუნიციპალიტეტისათვის თავდაპირველად გამოყოფილი თანხის დაზუსტება, კერძოდ, მოხდა დაზუსტება საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობის თანხის(საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების კანონის“ შესაბამისად) და თანხა შემცირდა 31413 ლარით.

ასევე, ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების საფუძველია ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის შიდა რესურსების გადანაწილება.ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 16.334,4 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეთორმეტე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის 1663 განკარგულება, (2019 წლის 12 აპრილის 815 განკარგულებაში ცვლილება), რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან გამოეყო 752,960 ათ.ლარი. კერძოდ, სოფელ ზუბში ხელოვნურ საფარიანი სტადიონის მოწყობისა და გვესო-ცაგერის დამაკავშირებელი გზისათვის, (განკარგულება თან ახლავს) რომელიც შემოსულობების ნაწილში აისახება გრანტებში , ხოლო ხარჯებში მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (სკვერებისა და ფასადების მოწყობა) – 71,250 ათ.ლარი , საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა -შენახვა - 681,710 ლარი.

ასევე, ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების საფუძველია ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის შიდა რესურსების გადანაწილება. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 17,087.4 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეცამეტე ცვლილების საფუძველია ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის შიდა რესურსების გადანაწილება,ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 17,087.4 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეთოთხმეტე ცვლილების საფუძველია

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 აგვისტოს 1869 განკარგულება, (2019 წლის 15 მარტის 554 განკარგულებაში ცვლილება) ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 672 348 ლარი, (განკარგულება თან ახლავს) რომელიც შემოსულობების ნაწილში აისახება გრანტებში , ხოლო ხარჯებში მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის

სამუშაოები (სკვერებისა და ფასადების მოწყობა) – 672 348 ათ.ლარი; (განკარგულება თან ერთვის). აღნიშნული ცვლილებით ხდება მუნიციპალიტეტისათვის თავდაპირველად გამოყოფილი თანხის დაზუსტება, კერძოდ, მოხდა დაზუსტება სოფ.ჩხუტელის, ღვირიშის, ლაილაშის, ტვიშის, უსახელოს, ლასურიაშის, ალპანის და ოყურემის ამბულატორიების შენობების რეაბილიტაციის და სოფ. ქვ.ცაგერის ამბულატორიის მშენებლობის თანხების(საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების კანონის“ შესაბამისად) და თანხა შემცირდა 24601 ლარით.

ასევე ბიუჯეტის ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 აგვისტოს 1867 განკარგულება, (2019 წლის 15 მარტის 557 განკარგულებაში ცვლილება) სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 325 605 ლარი, (განკარგულება თან ახლავს) რომელიც შემოსულობების ნაწილში აისახება გრანტებში , ხოლო ხარჯებში სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია

– 175 132 ლარი და წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია - 150 473 ლარი(განკარგულება თან ერთვის). აღნიშნული ცვლილებით ხდება მუნიციპალიტეტისათვის თავდაპირველად გამოყოფილი თანხის დაზუსტება, კერძოდ, მოხდა დაზუსტება სოფ. ლასურიაში მდ.ცხენისწყლის, წიფერჩის თემის სოფ.ლარჩვალის ნაპირსამაგრი სამუშაოების და სოფ.აღვში მუშკუდიანების უბნის დელის კალაპოტის გაწმენდა-გამაგრებითი სამუშაოების,სოფ.დოღურაშის მწვანე თეატრის დაცვის მიზნით გაბიონის მოწყობის, სოფ.ქვ. ცაგერში მდ.ცხენისწყლის ნაპირგამაგრებითი სამუშაოების , ქ.ცაგერში კეჭინარის დელის, ქვ.ცაგერში გიორგოვა დელისა და სახრეველას დელის კალაპოტების გაწმენდითი სამუშაოების, სოფ.ლაჯანაში მახარობლიძეების უბნის, ორბელში გოჯიდენის დელის და ტვიშში მაიდნის უბნის დელის კალაპოტების გაწმენდითი სამუშაოების თანხების (საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების კანონის“ შესაბამისად) და თანხა შემცირდა 54359 ლარით.

ბიუჯეტში ცვლილების საფუძველია ასევე საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების საფუძველზე მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი რესურსების გამოყენების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 9 აგვისტოს #1796 განკარგულება“. განკარგულების „ა“ პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტს უფლება მიეცა 2015 წლის 1 იანვრამდე სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული ფონდებიდან საქართველოს სამართლებრივი აქტების საფუძველზე მათთვის გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი რესურსების განკარგვა განახორციელონ შესაბამისი

ღონისძიებების დასრულების შემდგომ, მხოლოდ საამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისათვის საჭირო მომსახურების დაფინანსების მიზნით, შესაბამისი პროექტის საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმებით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთებიდან 2015 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ნაშთი შეადგენს 72600 (სამოცდათორმეტიათას ექვსასი) ლარს. აქედან:

1. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის #34 განკარგულების „ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ ნაშთია 48.7 ათ. ლარი
2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის #311 განკარგულების „ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ ნაშთია 16.6 ათ. ლარი
3. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის #390 განკარგულების „ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ ნაშთია 7.3 ათ. ლარი.

აღნიშნული თანხები მიზანშეწონილია მიმართოს ცაგერის მუნიციპალიტეტში 2020 წლის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების დაფინანსებისათვის. ზემოთ აღნიშნულიდან გათვალისწინებით არსებული ნაშთი შემცირდება 72.6ათ.ლარით , შესაბამისად გაიზრდება „ქალაქის განვითარების გეგმის, საპროექტი-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები“(ორგ.კოდი 03.03.08)

ასევე, ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების საფუძველია მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობების ზოგიერთ სახეობაში წლიურ გეგმიურ მაჩვენებელზე მეტობით შემოსული თანხებით წლიური მოცულობის გაზრდა. კერძოდ, „სხვა შემოსავლების“ წლიური გეგმა არის 110.0 ათ. ლარი, ხოლო ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 143.5 ათ.ლარი, მეტობით შემოსულია 33.5 ათ.ლარი. ამიტომ ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი კერძოდ, „სხვა

შემოსავლები“ (კოდი 1.4) გაიზარდა 33.5 ათ.ლარით და გადასახდელებში გადანაწილდა. ცვლილება შევიდა აგრეთვე მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 17041.9 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შეადგენს 12221,6 ათ ლარს, ფაქტიურად შემოსულია 8750,7 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 71,6 %-ით. მათ შორის: ქონების გადასახადის გეგმა იყო 321,0 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 397,1 ათ.ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა იყო 4346,9ათ.ლარი, ფაქტიური შემოსავალი 4495,3 ათ.ლარი.გეგმა შესრულდა 103,4 %-ით.

გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 7433,9ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 3692,3 ათ ლარი, ანუ გეგმის 49,7 %, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა იყო 559,4 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 395,3 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 70,7%-ით.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 119,8 ათ. ლარით, ფაქტიურად შემოსულია 166 ათ. ლარი ,გეგმა შესრულდა 138,5 %-ით, მათ შორის: პროცენტები უნდა შემოსულიყო 4,5 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოსულია 1,0ათ. ლარი, რენტა გეგმა იყო 31,3 ათ.ლარი, ფაქტიური შემოსავალი არის 90,5 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 289%-ით. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 30,3 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 25,6 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 84,4 %-ით. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 2,5 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 1,6 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 63,2%-ით, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 11,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 17,4ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 157,9 %-ით, ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 35,0ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 7,9ათ. ლარი ანუ გეგმის 22,7 %, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავალის გეგმა შესრულდა 36,4 %-ით. (გეგმა 15,0 ათ.ლარი, ფაქტი 5,5ათ.ლარი).

გაწეული ხარჯებიდან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 524,0 ათ. ლარი, დაიხარჯა 497,1 ათ. ლარი, ათვისებული იქნა 94,9 %. აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 1256,7 ათ ლარი, დაიხარჯა 1157,8 ათ ლარი, ანუ ათვისებულ იქნა 92,1 %-ით.

თავდაცვის ხარჯებიდან სამხედრო აღიცხვისა და გაწვევის სამსახურს მოხმარდა გეგმის 92,4%, (გეგმა -49,2ათ. ლარი, ფაქტი - 45,5 ათ. ლარი).

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 11695,7 ათ.ლარით და დაფინანსდა 60834 ათ.ლარით, მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 2498,2 ათ.ლარით, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 92,3 ათ.ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 1786,7 ათ. ლარით ,წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 36,6 ათ.ლარით, ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები დაფინანსდა 190,3 ათ. ლარი, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებების დაფინანსდა 4,3 ათ.ლარი, კომუნალური მომსახურება დაფინანსდა 375,3 ათ.ლარით, ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 240,4 ათ.ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 196,7ათ.ლარით. დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდა 144,3ათ.ლარით

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები ათვისებულია 91,8%-ით (გეგმა - 569,6 ათ ლარი, ფაქტი -523 ათ. ლარი). მათ შორის: სკოლამდელი განათლება დაფინანსდა 91,3%-ით (გეგმა -526,8 ათ. ლარი, ფაქტიური - 480,9 ათ. ლარი). მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 98,3 %-ით (გეგმა -42,8 ათ. ლარი, ფაქტიური - 42,1ათ. ლარი).

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 1154,4 ათ ლარით, მათ შორის: ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა დაფინანსდა 97,5%-ით, (გეგმა 166,9ათ.ლარი, ფაქტი 162,8ათ.ლარი), საფეხბურთო კლუბი „ხვამლი,, დაფინანსდა 99%-ით (გეგმა 67,4ათ.ლარი, ფაქტი 66,7ათ.ლარი),ფრენბურთის კლუბი ცაგერი დაფინანსდა 98,2 %-ით (გეგმა 86,6 ათ.ლარი,ფაქტი 85,1 ათ.ლარი) კულტურის ცენტრი დაფინანსდა 92,7%-ით, (გეგმა 220,3ათ. ლარი ფაქტი 204,3 ათ.ლარი)მუზეუმი და გალერეა დაფინანსდა 95,9%-ით (გეგმა 123ათ. ლარი, ფაქტი 118.ათ.ლარი) სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 90,7%-ით (გეგმა 51,1თ.ლარი, ფაქტი 47,8ათ.ლარი) სამხატვრო სკოლა დაფინანსდა 96,2%-ით (გეგმა 38 ათ. ლარი, ფაქტი 36,6ათ.ლარი), ბიბლიოთეკები დაფინანსდა 97,3 %-ით (გეგმა - 119,9 ათ ლარი, ფაქტიური - 116,7 ათ. ლარი),კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (წმ.მაქსიმე აღმსარებლის სადღესასწაულო ღონისძიებები და ლადობა) დაფინანსდა 50,3 ათ.ლარი, რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა 15,2 ათ.ლარი, „ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი" დაფინანსდა 97,6%-ით (გეგმა 29,5ათ.ლარი, ფაქტი 28,7 ათ.ლარი),ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი დაფინანსდა 94,6%-ით, (გეგმა 41,9ათ.ლარი, ფაქტი 39,7 ათ.ლარი), ა(ა)იპ

ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი დაფინანსდა 99,5%-ით (გეგმა 104 ათ.ლარი, ფაქტი 104,5 ათ.ლარით), ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 99,2%-ით (გეგმა 74,7 ათ.ლარი, ფაქტი 74,1 ათ.ლარი).

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები დაფინანსდა 93,4%-ით (გეგმა 391,1 ათ.ლარი ფაქტი 365,1 ათ.ლარი), მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდა 99,1%-ით (გეგმა 67 ათ. ლარი, ფაქტი 66,4 ათ.ლარი) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსდა 92,3%-ით (გეგმა 246,8 ათ. ლარი, ფაქტი 227,8 ათ.ლარი). უფასო სასადილოები დაფინანსდა 94,7 %-ით (გეგმა 75 ათ.ლარი ფაქტი 71 ათ. ლარით).

მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულებიდან გამომდინარე გარკვეული სამუშაოები იქნა ჩატარებული, პირველ რიგში დაგეგმვის თვალსაზრისით, სამოქმედო გეგმის მიხედვით არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი დაიგეგმა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 2 გარდამავალი ობიექტის მშენებლობა, დასრულდა ტერიტორიულად მიმზიდველი ადგილის მშენებლობის პროცესი, რაზედაც დახარჯული იქნა 598104 ლარი, ობიექტები დამაკმაყოფილებლად იქნა შესრულებული და შესაბამისად ტურისტებისა და ადგილობრივ მცხოვრებთა დიდ

ინტერესს იწვევს, ხოლო ლაჯანის ბაღის მშენებლობის მომწოდებლის მიერ არაჯეროვანი შესრულების გამო მასზე მიმდინარეობს საჯარიმო სანქციების განხორციელება. ამასთან ობიექტის მიღების განხორციელებისათვის საამშენებლო პროცესში დაშვებული დეფექტების აღმოფხვრა, რომლის დასრულების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნება კანონის შესაბამისად.

დასრულდა ქ. ცაგერის ვაჟა-ფშაველას, გოლეთიანის, კოსტავას, თამარ მეფის, რუსთაველის ქუჩების ასფალტების სამუშაოები. შესაბამისი სანიაღვრე არხებით, ფეხით მოსიარულეთა ბილიკებით და ბორდიურებით, რაზედაც დახარჯული იქნა 1305000 ლარი.ამავდროულად ასფალტის საფარი დაიგო ქვ.ცაგერი-ლასურიამის გზის მონაკვეთზე, რაზედაც შესრულებული იქნა 642881 ლარის სამუშაოები.

ამავე პერიოდში დაიგეგმა და ამჟამად მიმდინარეობს სოფელ უსახელოს, სურმუშის, ჭალისთავის, ორბელის, ოყურემის, ზუბის, ლუხვანოს, წიფერჩის, ზოგიშის, ჩქუმის, ქულბაქის და ჩხუტელის ავარიული გზების ბეტონის საფარით მოეწყოს, რაზედაც ჯამში დაიხარჯება 673632 ლარი.

გარკვეული ყურადღება დაეთმო ხიდ-ბოგირების მშენებლობის-რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელებას, სოფ. ჩხუტელსა და ქულბაქში ამორტიზირებული

ხიდების ნაცვლად აშენდა 2 ახალი ხიდი, გარემონტდა სოფ.ჩქუმში მდ. ჯონოულის ხიდი,ახალი საფეხმავლო ხიდი მოეწყო სოფ.ჩხუტელში,რაზედაც დაიხარჯება 319824 ლარი.

მიმდინარე წელს დაიგეგმა და განხორციელდა სოფელ ბარდნალის, ტვიშის, ჩხუტელის და ქ.ცაგერის საჯარო სკოლების ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები სადაც შესრულებული იქნა 257572 ლარის სამუშაოები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქ.ცაგერსა და სოფლებში ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელებას დასრულების პროცესშია ქ.ცაგერის საგანგებო სიტუაციების კოორდინირების გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა, მიმდინარეობს სოფელ ორბელისა და ქვ.ცაგერის ახალი ამბულატორიების მშენებლობა, ხოლო სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სოფელ ჩხუტელის, ღვირიშის, ლაილაშის, ტვიშის, უსახელოს, ალპანის, ოყურემის და ლასურიასის ამბულატორიების შენობებს, რაზედაც დაიხარჯა 672345 ლარი.

საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა სტიქიის პრევენციული ღონისძიების განსახორციელებლად სოფ.ლასურიაშის,ლარჩვალის,აღვის,ლაჯანის,ორბელის,ტვიშის,დოღურაშის,მწვანე თეატრის, ქვ.ცაგერის,ქ.ცაგერში ნაპირგამაგრებითი სამუშაოები,რაზედაც ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოთა წარმოება, სადაც შესრულდება 338067 ლარის სამუშაოები.

ქ.ცაგერის იერსახის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს კეჭნარის სკვერისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები, რაზედაც გათვალისწინებულია 754920 ლარის სამუშაოთა განხორციელება,თუმცა მომწოდებლის მხრიდან სამუშაოთა მიმდინარეობას ხელი ეშლება,რის გამოც მასზე ხორციელდება საჯარიმო სანქციები.

სოფლის მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით დაიგეგმა და განხორციელდა სოფელ ალპანის,ჩხუტელის,ჩქუმის,წიფერჩის,ტვისის, ლასურიაშის და ლაჯანის 7 კომპლექტი ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობა,რაზედაც დახარჯული იქნა 138527 ლარი, ხოლო სოფელ ჭალისთავში, სურმუშში, ალპანასა და ზუბში მიმდინარეობს ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, რაზედაც დაიხარჯება 230387 ლარი.

დასრულების პროცესშია ქ.ცაგერში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობა,რაზედაც დაგეგმილია 349027 ლარის სამუშაოთა შესრულება,რომლის ექსპლუატაციაში შესვლა კარგ საჩუქარი გახდება სპორტულ საზოგადოებებისა და მოსახლეობისათვის.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 2017 წლის 19-29 დეკემბრის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციის სამუშაოები, სადაც გათვალისწინებული იყო 940772 ლარის სამუშაოთა განხორციელება, აღდგენილი იქნა სტიქიის შედეგად დაზიანებული 32 სოფლის შიდა სასოფლო გზა, ხოლო 2017 წლის 11-12 მაისს მომხდარი სტიქიის აღდგენითი სამუშაოების განსახორციელებლად გამოყოფილი 1066077 ლარიდან ხელშეკრულება გაუფორმდა 715145 ლარზე, ხოლო 350932 ლარის სამუშაოების ჩატარებაზე გამოცხადებული ტენდერი არ შედგა, რაც გამოწვეულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე კარიერების უქონლობის გამო, თუმცა სამინისტროს წინაშე დასმული საკითხის შესაბამისად საბოლოო გადაწყვეტილება მირებულია და სამუსაოთა შესყიდვაზე გამოცხადდება ტენდერები.

ამასთან 2018 და 2019 წლებში მომხდარი სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების განსახორციელებლად სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი დეფექტური აქტები და საჭირო თანმდევი მასალები, რომელიც წარდგენილია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, მაგრამ საკითხი გადაუჭრელი რჩება, იმის გამო, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის სახსრების მობილიზება ვერ ხერხდება.

საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი იქნა 620000 ლარი, რომლის შესაბამისად დაიგეგმა 70 პროექტის განხორციელება, საიდანაც გარე განათების მოწყობას მოხმარდა 25800 ლარი, წყალსადენების რეაბილიტაციას 99000 ლარი, თავშეყრის ადგილის მოწყობას 75000 ლარი, შიდა სასოფლო გზების შეკეთებას 49000 ლარი, სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემების მოწყობას 46500 ლარი, სასაფლაოების შემოკავებას 30000 ლარი, სკვერების კეთილმოწყობას 18500 ლარი, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებას 10000 ლარი. ამბულატორიებისა და ბიბლიოთეკების შეკეთებას 10000 ლარი., საცურაო აუზების მოწყობას 10000 ლარი, სახნავ-სათესი ნაკვეთების შემოკავებას 8500 ლარი წისქვილების რემონტს 3000 ლარი, ხოლო კლუბის შეკეთებას 2500 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში მომზადდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტულად მიმზიდველი ადგილების, მუნიციპალიტეტის 8 სოფლისათვის წყალმომარაგებისა და წყალანარინების ქსელის მოწყობის, დასასვენებელი სკვერების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის, სოფლად ასფალტ-ბეტონის საფარის გზის მოწყობის, ქ.ცაგერსა და სოფლებში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების მოწყობის საპროექტო-

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რაშიდაც დაიხარჯა 57100 ლარი, რამაც გარკვეული წინაპირობები შეუქმნა მომავალი წლის სამოქმედო გეგმის განხორციელებას.

მოეწყო ქ.ცაგერსა და სოფ. ქვ. ცაგერში მურთაზ ცაკვეტაძის ქუჩაზე ჩამდინარე წყლის სისტემები, ხოლო თავისუფლების ქუჩაზე კეთილმოეწყო „ლომის წყლის“ ნაგებობა და მიმდებარე ტერიტორია, რომელზედაც დახარჯულმა თანხამ 42510 ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის მერიის წინადადების საფუძველზე, ამჟამად, ზოგადად ლეჩხუმისათვის, მიდინარეობს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების განხორციელება, როგორცაა ხვამლის ინფრასტრუქტურასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, სოფელ ლასურიაში მდ.ცხენისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები, სახელმწიფო მნიშვნელობის გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენის პროცესი, რეაბილიტაცია უტარდება მდ.ჯონოულისა და კვერშულას საავტომობილო ხიდებს, უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება ლაილაშის სკოლის მშენებლობაზე. სათანადო წინაპირობებია შექმნილი სოფელ გვესოს, ჩქუმ-ქულბაქის და ლაილაშის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად, რაზედაც საერთო ჯამში 29,5 მილიონი ლარი დაიხარჯება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უახლოეს პერიოდში ლეჩხუმელი მოსახლეობა ახალ საჩუქარს მიიღებს, ქ.ცაგერში ამოქმედდება თანამედროვე სტანდარტების იუსტიციის სახლის ახალი შენობა.

ამასთან ერთად გზების მოვლა-შენახვის სამუშაოების განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში დაიხარჯება 30000 ლარი, ხოლო კანალიზაციის ქსელის მოვლა-შენახვის მიზნით დახარჯულმა სახსრებმა 10000 ლარი შეადგინა.

სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალური სამარშრუტო სქემის შესაბამისად მომსახურების გაწევა, ამ მიზნით სუბსიდიის სახით დიზელის საწვავის შესყიდვის მიზნით გამოყოფილმა თანხამ წლის განმავლობაში 60000 ლარი შეადგინა. მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა ჩატარებული ქ.ცაგერის ქუჩების დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის უზრუნველსაყოფად, რითაც მოიცვა მთლიანად ქალაქი სოფლების ნაწილი ამ მიზნით მიმდინარე წელს ბიუჯეტით გამოყოფილმა სახსრებმა 315000 ლარი შეადგინა, ხოლო გარე განათების მომსახურების მიზნით 82200 ლარი დაიხარჯება. მიუხედავად ამისა წლის ბოლომდე ქუჩების დაგვა-დასუფთავებისათვის გამოყოფილი ასიგნებანი სრულად ვერ აკმაყოფილებს გასაწევი მომსახურების ხარჯებს და დამატებით საჭიროა ა(ა)იპ „კომუნალური

მეურნეობისათვის“ 70000 ლარის დაფინანსებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ორი თვის ხელფასები გაუცემელი დარჩება.

სამსახურმა საანგარიშო პერიოდში მაგთიკომის საბაზო სადგურის „ოფიტარას“, მშენებლობისა და საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის მიზნით 2 ნებართვა გასცა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებთან ერთად მომზადდა სტიქიით დაზარალებულ 25 ოჯახზე საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები და ეცნობათ შესაბამისად სტიქიით დაზარალებულებს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად შესწავლილი იქნა 26 სტიქიით დაზარალებული ოჯახის მდგომარეობა, საიდანაც სამინისტროს მიერ დაკმაყოფილდა ახალ საცხოვრებელ და ადგილზე განთავსებით 7 ოჯახი. არსებული წესით (მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N 779 ბრძანების საფუძველზე) მომზადდა და სამინისტროში⁹ გაიგზავნა სტიქიით დაზარალებული 15 ოჯახის შეფასების მასალები, სამინისტროს მოთხოვნით, სამინისტროს მიერ აღრიცხვაზე აყვანილ 250 ოჯახს დაეგზავნა შეტყობინება საცხოვრებელი სახლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე, რადგან 2010 წლიდან რეგისტრაციის გარეშე სტიქიით დაზარალებული ოჯახების საკითხები განსახლების თაობაზე არ⁴ განიხილება.

დღემდე სამინისტროში გაგზავნილია 52 სტიქიით დაზარალებული ოჯახი⁹ების საცხოვრებელი სახლების რეგისტრაციის დოკუმენტაცია (სამინისტროს მოთხოვნით ბენეფიციარი ვალდებულია პირადად მან გაუგზავნოს სამინისტროს მისი საცხოვრებელი სახლის დოკუმენტაცია).

ამავე სამინისტროს მოთხოვნით შესწავლილი იქნა და სისტემატიზებული იქნა 2013 წლიდან 2018 წლის ჩათვლით საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნებით სტიქიით დაზარალებული ოჯახების შემადგენლობა. სადაც აღრიცხულია ოჯახი, ოჯახის სრული შემადგენლობა, მითითებულია მათი ტელეფონები და საცხოვრებელი ადგილი, აღნიშნული მონაცემები 385 ოჯახზე გაგზავნილია სამინისტროში.

მ/წელს მოწვეული და ჩატარებული იქნა სარეზერვო კომისიის 6 სხდომა და თანხები გაცემულია იმ საკითხების გადასაწყვეტად რომელიც ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული, კერძოდ ონკოლოგიურ ავადმყოფებზე გაცემულია 11800 ლარი, მძიმე სოციალურ ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე 10600 ლარი, სტიქიით და ხანძრისგან დაზარალებულ ოჯახებზე 2700 ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებისა და საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული კანონებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს, განსაზღვრავენ საქმიანობის შინაარსს, მის მიმართულეებს და პრიორიტეტებს.

2019 წლის განვლილ პერიოდში ეკონომიკური სამსახურის უპირველესი ამოცანა იყო ადგილობრივი შემოსავლების საბიუჯეტო პარამეტრების შესრულება, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება,

2019 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ მომზადდა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილული იქნა საკითხები, რომლებიც შეეხებოდა მუნიციპალიტეტზე ქონების გადმოცემის საკითხს და უზურფრუქტით გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ქონებებს, რომლებიც აუცილებელია მუნიციპალიტეტის მერიის ფუნქციონირებისათვის, ამავე პერიოდში სამსახურის მიერ მომზადდა მუნიციპალური ქონებების უზურფრუქტით და იჯარის ფორმით გადაცემა, გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური ადმინისტრირებას უწევს საბიუჯეტო შემოსავლების ისეთ დარგებს, როგორცაა ქონების იჯარა, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი, დაგვა-დასუფთავების მოსაკრებელი, ქონების გადასახადი და სხვა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შეადგენს **12221,6** ათ ლარს, ფაქტიურად შემოსულია 8750,7 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა **71,6** %-ით. მათ შორის: ქონების გადასახადის გეგმა იყო 321,0 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა **397,1** ათ.ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა იყო 4346,9 ათ.ლარი, ფაქტიური შემოსავალი 4495,3 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა 103,4 %-ით.

გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა **7433,9** ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 3692,3 ათ ლარი, ანუ გეგმის 49,7 %, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა იყო 559,4 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია **395,3** ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 70,7%-ით.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 119,8 ათ. ლარით, ფაქტიურად შემოსულია 166 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 138,5 %-ით, მათ შორის: პროცენტები უნდა შემოსულიყო 4,5 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოსულია 1,0 ათ. ლარი, რენტა გეგმა იყო 31,3 ათ.ლარი, ფაქტიური შემოსავალი არის 90,5 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 289%-ით. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 30,3 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 25,6 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 84,4 %-ით. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული

ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 2,5 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 1,6 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 63,2%-ით, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 11,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 17,4 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 157,9 %-ით, ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 35,0 ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 7,9 ათ. ლარი ანუ გეგმის 22,7 %, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავალის გეგმა შესრულდა 36,4 %-ით. (გეგმა 15,0 ათ. ლარი, ფაქტი 5,5 ათ. ლარი)

დამთავრდა 2019 წლის სტატისტიკური ანგარიშების დოკუმენტაციის მომზადება, ამჟამად მიმდინარეობს მისი შესწავლა და დამუშავება.

სამსახური სერიოზულ ყურადღებას უთმობს მუნიციპალური ქონების საიჯარო წესით გაცემულ საკითხებს, დღეისათვის მოქმედებს 25 საიჯარო ხელშეკრულება, საიდანაც ყოველთვიურად ბიუჯეტი იღებს გარკვეულ შემოსავალს, ასევე გაფორმდა უსასყიდლო უზურფრუქტით მუნიციპალური ქონების გადაცემის 4 ხელშეკრულება სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციასთან.

სამსახურის მიერ მომზადდა და ჩატარდა 3 ელექტრონული აუქციონი, აქედან ერთის საშუალებით მოხდა მუნიციპალური საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება, ხოლო ორ შემთხვევაში ჩატარდა აუქციონი მიწის იჯარით გაცემაზე.

ეკონომიკის სამსახური სერიოზულ ყურადღებას უთმობს ინვესტორების მოძიებას და ინვესტიციების მოზიდვის საქმეს. გაწეული მუშაობის შედეგად მოიძებნა ინვესტორი, რომელიც ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ორბელში მდ. ლაჯანურზე იწყებს მცირე ჰესების მშენებლობას. გაფორმებულია გრძელვადიანი ხელშეკრულება მიწის იჯარაზე რასაც ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებით 91000 ლარი შემოსავალი მოაქვს, უკვე შემოტანილია მ/წლის თანხა 61000 ლარის რაოდენობით. მოძებნილია მეორე ინვესტორი, რომელიც მომავალ წელს განახორციელებს 30000 ლარის ინვესტიციას, გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულება და ინვესტორი იხდის ჯერ-ჯერობით საიჯარო თანხას.

მიმდინარე წელს სამსახურს მოუწია სერიოზული ყურადღება დაეთმო ისეთი საკითხისათვის როგორცაა ადრეულ წლებში დარეგისტრირებული მუნიციპალური ქონების ხელახალი რეგისტრაცია, რადგან იმ პერიოდში არსებული სუსტი ტექნიკური საშუალებების გამო ფიქსირდებოდა გადაფარვები სხვადასხვა კერძო სუბიექტების ტერიტორიაზე. გამომდინარე აქედან უკვე გასწორდა მუსიკალური სკოლის და რაიონული კულტურის სახლის შენობები. გასწორების პროცესშია წიფერჩის ადმინისტრაციული შენობის კოორდინატები, აღნიშნული საქმიანობა გრძელდება, ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში.

ასევე შემოსულია 60-მდე განცხადება მეორადი მასალის მოთხოვნასთან დაკავშირებით, აქედან ნახევარზე მეტი დაკმაყოფილებულია. მომზადებულია სხვადასხვა სახის 300-მდე ინფორმაცია და კორესპოდენცია, რომელიც ეხება ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებს.

ასევე სამსახურის მიერ მომზადდა და საკრებულოზე იქნა განხილული 30-მდე საკითხი.

გარკვეული შეფერხებები ფიქსირდება დასუფთავების მოსაკრებლების ამოღების და გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებებიდან ქირის გადაუხდელობის კუთხით, თითქმის ყველა იურიდიულ პირთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება მოსაკრებლის გადასახადის თაობაზე, ასევე ა(ა)იპ კომუნალური მეურნეობა აწარმოებს თანხის ამოღებას მოსახლეობიდან.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ინფორმაციით სულ შემდგარია 59 ტენდერი, არ შედგა -3 ტენდერი, შეწყვეტილია 1 ტენდერი.

სააგენტოსგან მოპოვებულია გამარტივებული შესყიდვა (SMP) – 11 ხელშეკრულება. გამარტივებული წესით შესყიდვით გაფორმებულის 219 ხელშეკრულება.

ზედამხედველობის სამსახური აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, მუდმივად მიმდინარეობს პროექტების მიმდინარეობის დროს ინსპექტირება, რომელიც ითვალისწინებს შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების კონტროლს. აგრეთვე ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ზედამხედველობის სამსახურის საპასუხო განცხადებებისა და წერილების შესწავლა და მყისიერი რეაგირება.

ზედამხედველობის სამსახურმა 2018 წლის ოქტომბრიდან საზედამხედველო ინსპექტირება გაუწია 2018 წელს დაგეგმილი გარდამავალი პროექტების მიმდინარეობას კერძოდ: ქ.ცაგერში ჩიხების აფალტირება; ტურისტულად მიმზიდველი ობიექტების კეთილმოწყობა და სოფელ ლაჯანაში საბავშვო ბაღის მშენებლობა. ამ პროექტების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 1 320 858,01 (მილიონ სამასოცი ათას რვაასორმოცდათვრამეტი ლარი და 01 თეთრი) ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 195 335,89 (მილიონ ასოთხმოცდათხუთმეტი ათას სამასოცდათხუთმეტი ლარი და 89 თეთრი) ლარი, შესრულების პროცენტული მაჩვენებელი 90,5%. მათ შორის დაუსრულებელია სოფელ ლაჯანაში საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც დასრულდება მიმდინარე პერიოდში საჯარიმო სანქციების დარიცხვით, ხოლო ტურისტულად მიმზიდველი ადგილების კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების (გეგმა-

გრაფიკი) დაღვევით, რის გამოც მიმწოდებელმა შ.პ.ს „პლაზმამ“ ჯარიმის სახით გადაიხადა 10 930,94 (ათი ათას ცხრაასოცდაათი ლარი და 94 თეთრი) ლარი.

2019 წელს ზედამხედველობის სამსახურმა ინსპექტირება გაუწია სოფლის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ 595 500 (ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ღირებულების 52 ხელშეკრულებას, რომელთა საკასო შესრულებამ შეადგინა 542 852 (ხუთასორმოცდაორი ათას რვაას ორმოცდათორმეტი) ლარი, შესრულების პროცენტული მაჩვენებელი 91,2%.

ზედამხედველობის სამსახური ინსპექტირებას უწევს მუნიციპალიტეტში 2019 წელს დაგეგმილი 51 პროექტის მიმდინარეობას, რომელთა ჯამური ღირებულება 7 653 186 (შვიდი მილიონ ექვსასორმოცდაცამეტი ათას ასოთხმოცდაექვსი) ლარია, ხოლო საკასო შესრულება 4 999 492,55 (ოთხი მილიონ ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი ათას ოთხასოთხმოცდათორმეტი ლარი და 55 თეთრი) ლარი. შესრულების პროცენტული მაჩვენებელი 65,3 %.

მიმდინარე პროექტების ინსპექტირებისას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის გამო განხორციელებულმა საჯარიმო სანქციებმა შეადგინა 48 604,50 (ორმოცდარვა ათას ექვსასოთხი ლარ და 50 თეთრი) ლარი.

საჯარიმო სანქციები განხორციელდა ასევე ლიცენზირებულ ზედამხედველზე შ.პ.ს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო, რამაც სულ 6 291,71 (ექვსი ათას ორასოთხმოცდათერთმეტი ლარი და 71 თეთრი) ლარი შეადგინა.

ზედამხედველობის სამსახური აგრეთვე აქტიურად მონაწილეობს მუნიციპალიტეტის მიერ ბრძანებით შექმნილი მიღება-ჩაბარების კომისიის მუშაობაში.

მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ გაწეული იქნა შემდეგი სამუშაოები: **საგანმანათლებლო** კუთხით მოეწყო - დედაენის დღის აღსანიშნავად აქცია და მუნიციპალიტეტის 2019 წლის სექტემბერში პირველ კლასში შემსვლელ მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ იაკობ გოგებაშვილის დედაენა.

- ორგანიზება გაეწია მედია პროექტ „ეტალონის“ რესპუბლიკურ ფინალურ ღონისძიებაში მუნიციპალურ ტურში გამარჯვებული მოსწავლის მონაწილეობას რესპუბლიკურ ფინალურ ღონისძიებაში .

- მოეწყო მუნიციპალიტეტის პედაგოგთა და მოსწავლეთა შეხვედრა მეუფე სტეფანესთან.

- მოეწყო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ინკლუზიურ სწავლებაში ჩართულ მოსწავლეებთან ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით.

- ორგანიზება გაეწია ლაჯანის საჯარო სკოლაში მედია პროექტ „ეტალონის“ მუნიციპალურ ტურს.
- გამოვლინდა მუნიციპალიტეტის ეტალონი მოსწავლე რომელიც მონაწილეობას მიიღებს 2020 წელის მაისში დაგეგმილ რესპუბლიკურ ფინალში.
- აქტიური მონაწილეობა იქნა მიღებული ქ. ცაგერში მაქსიმოლოგთა VII საერთაშორისო საღვთისმეტყველო კონფერენციის ჩატარებაში და ორგანიზება გაეწია კონფერენციისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს.
- მომზადდა და ნოემბრის თვეში ჩატარდება საგანმანათლებლო პროექტი „კარცერი-ლუქსი“.

კულტურის მიმართულებით

- მოეწყო საახალწლო კონცერტი კულტურის ცენტრში.
- ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი კაფე-სალამო.
- მოეწყო ფაშიზმზე გამარჯვების (9 მაისი) აღსანიშნავი კულტურული ღონისძიებები
- ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი
- მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ანიმატორთა შოუ ქ. ცაგერსა და სოფ. ორბელში.
- მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო კონცერტი ცნობილი მსახიობების: ლეო ანთაძის და მედეა ლორთქიფანიძის მონაწილეობით.
- კულტურის ცენტრში ჩატარდა სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი.
- კულტურის ცენტრში მოეწყო რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“.
- პროექტ „Check in Georgia“ ფარგლებში ჩატარდა ლაშა ღლონტისა და მურმან ჯინორიას შემოქმედებითი კონცერტი.
- მწვანე თეატრზე ჩატარდა ფოლკლორულ ანსამბლ „ეგარის“ კონცერტი.
- მოეწყო „მაქსიმობის“ დღესასწაულის კულტურული ღონისძიებები (3 თებერვალი, 26 აგვისტო).
- მუნიციპალიტეტის ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა კოლექტივებმა მონაწილეობა მიიღეს ამბროლაურში გამართულ ფოლკლორულ ფესტივალში „ფუძეობა 2019“.
- ჩატარდა შოთა რუსთაველის სპექტაკლი „სტუმარი“.
- მოეწყო კულტურის ცენტრის საანგარიშო კონცერტი ფოლკლორული, ქორეოგრაფიული, საესტრადო და კლასიკური მუსიკის შემსრულებელთა მონაწილეობით.
- ესთეტიკური აღზრდის ცენტრის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ლეჩხუმმა“ მონაწილეობა მიიღო ბულგარეთის საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში და მოიპოვა ლაურეატის წოდება.

სპორტის მიმართულებით

- ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა ცხენოსნობაში.

- ჩატარდა მუნიციპალური ტურნირი ნარდში.
- მოეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მასობრივი, სპორტული ღონისძიებები (მასობრივი გარბენი, აბსოლიტური პირველობა მკლავჭიდსა სიმძიმეების აწევაში, შეჯიბრებები: ჭადრაკში, შაშში, ნარდში, ბაგირის გადაძალვაში).
- ორგანიზება გაეწია სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდების მონაწილეობას რეგიონალურ თამაშებში (მინი-ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, გეზრბენი, ფრენბურთი ვაჟთა და გოგონათა გუნდები).
- სამსახურის მიერ აქტიური მონაწილეობა იქნა მიღებული კომპლექსური სპორტული სკოლის და საფეხბურთო კლუბ „ხვამლის“ მიერ ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებში. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მოჭიდავეები (ძიუდო ქართული ჭიდაობა სამხო) გახდნენ საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირების საქართველოს პირველობების გამარჯვებულები და პრიზიორები. ცაგერის „ხვამლის“ 12 - წლამდე ასაკის ფეხბურთელთა გუნდი გახდა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ჩემპიონი. „ხვამლის“ 12-14 წლამდე გუნდები წარმატებით გამოდიან იმერეთის ღია პირველობის სახელობით ტურნირებში.
- ცაგერის სტადიონზე ჩატარდა სახელოვანი მორაგბის, სერგო უგრეხელიძის, სახელობის დასავლეთ საქართველოს ფესტივალი.
- ჩატარდა მოყვარულთა ლიგის მუნიციპალური შეჯიბრება ფეხბურთში მუნიციპალიტეტის ჩემპიონი ჩაერთო რეგიონალური ლიგის გათამაშებებში 4 გუნდში დავიკავეთ მეორე ადგილი.
- სამსახურის მიერ დახმარება გაეწია ფრენბურთის კლუბს და მოეწყო პირველობა საჯარო სკოლებსა და ორგანიზაციებს შორის ასევე მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში ქ. ცაგერის და სოფლების გუნდებს შორის. აღსანიშნავია, რომ ცაგერის ვაჟ ფრენბურთელთა გუნდი ზედიზედ მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი.
- მერიის შესაბამისი სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა ტურნირი ქუჩის კალათბურთში ორგანიზაციების გუნდებს შორის.
- ქ. ცაგერში და სოფ. ორბელში მოეწყო მინი ფეხბურთელთა ტურნირები, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო ცაგერისა და მუნიციპალიტეტის სოფლების 20 -ზე მეტმა გუნდმა.
- „სპორტი ყველასთვის“ საქართველოს ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით და განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო ექსტრემალური რბენა მურის ციხეების დამაკავშირებელ კიბეზე და ჩატარდა მედია-ტურნირი კლდეზე ცოცვაში, სადაც მონაწილეობა მიიღო 40 -ზე მეტმა წარმომადგენელმა მთელი საქართველოდან. მათ შორის იყვნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტსმენები.
- ჩატარდა კობა ქომეთიანის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში კადეტთა შორის (15-16 წლის ბიჭები) შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო მთელი საქართველოდან 15 მა გუნდმა,
- ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის 2020 წლის მუნიციპალური შეჯიბრება გეზრბენში (ვაჟები, გოგონები).

ახალგაზრდობის მიმართულებით

- საახალწლო საჩუქრები გადაეცათ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ეწევიან სადღეღამისო მორიგეობას.
- ჩატარდა ახალგაზრდობის გამოკითხვა თემაზე: „ოჯახური ძალადობა, არასრულწლოვანთა დანაშაული“.
- მოეწყო ახალგაზრდა მრავალშვილიან დედებთან შეხვედრა, მოხდა მათვის დედის დღის მილოცვა და საჩუქრების გადაცემა.
- მოეწყო 9 აპრილის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.
- ჩატარდა ლექცია თემაზე „ლექსუმის კულტურული მემკვიდრეობა“.
- მოეწყო შეხვედრა მეუფე სტეფანესთან ახალგაზრდობის სულიერების ამალღების მიზნით.
- ახალგაზრდული ფესტივალი 2019 - ის ფარგლებში მანავის სპორტულ შემეცნებით ბანაკში გაიგზავნა ხელოვნების კონკურსში და სპორტულ რეგიონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული 20 - მოსწავლე.
- მოეწყო თამბაქოს საწინააღმდეგო აქცია.
- მოეწყო კინოჩვენებები მწვანე თეატრზე.
- დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების პროექტის „გაიცანი საქართველო და განავითარე შენი რეგიონი“ ფარგლებში საუკეთესო ტურისტული პროექტისათვის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით 2 - ახალგაზრდა გაიგზავნა თურქეთის რესპუბლიკაში.
- აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ზურაბ ევადის პატივგების მიზნით ორგანიზება გაეწია გმირის საფლავის გვირგვინით და ყვავილებით შემკობის ღონისძიებას.
- „დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“ პროექტის „გაიცანი შენი რეგიონი“ ფარგლებში 20 - სოციალურად აქტიური ახალგაზრდა გაიგზავნა ქარელის რაიონის ძამას ხეობაში 4 - დღით, სადაც მათ მიერ დათვალიერებული იქნა საინტერესო კულტურული და ისტორიული ძეგლები.
- მოხდა შეხვედრები სოციალურად აქტიური ახალგაზრდობასთან „დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“ ორგანიზებით.

ტურიზმის მიმართულებით

- ლექსუმის ტურისტული ცნობადობის ამალღების მიზნით მოეწყო საინფორმაციო ინფო- ტურები საქართველოს საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლების მონაწილეობით, რაც ნაწილობრივ დააფინანსა მუნიციპალიტეტმა.
- მომზადდა ვიდეორგოლი „მოგზაურობა ლექსუმში“ გიო გაბუნასთან ერთად.
- მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოსული ადგილობრივი და უცხოური ტურისტების აღრიცხვა.

- მოხდა ახალი ტურისტული ობიექტების (საოჯახო სასტუმროები, საოჯახო მარნები) აღრიცხვა.
- მომზადდა ლეჩხუმის ტურისტული გზამკვლევი.
- ჩატარდა სერიოზული მოსამზადებელი სამუშაო ქ. ცაგერში ტურისტული საინფორმაციო ცენტრის სათანადო აღჭურვისა და ექსპლუატაციაში გასვლისათვის.

სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დებულების შესაბამისად ხორციელდებოდა ქვემდებარე ა(ა)იპების (დარგების მიხედვით) საქმიანობის მონიტორინგი. და მეთოდური დახმარება.
- სერიოზული სამუშაო იქნა გაწეული ზემდგომი ორგანოებიდან შემოსული და მერის მიერ დაწერილი სხვადასხვა კორესპოდენციების შესრულებისათვის.
- მომზადებული და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილული იქნა საკითხები საგანმანათლებლო, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის სფეროების აქტუალური პრობლემატიკის მიხედვით.

ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა მძიმე სოციალური პირობებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერია ყოველწლიურად ადგილობრივ ბიუჯეტში ითვალისწინებს გარკვეულ თანხას მოსახლეობის ერთჯერადი სოციალური დახმარებებისათვის.

2018 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის ოქტომბრის მდგომარეობით სოციალური დახმარების მიღებისა და გაცემის წესის მიხედვით (ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N3 დადგენილება, 2019 წლის 3 იანვრის N1 დადგენილება) მატერიალური დახმარება გაეწია მძიმე ავადმყოფებსა და სოციალურად დაუცველ შემდეგ ჯგუფებს:

1. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება.
2. დიალიზზე დამოკიდებული პაციენტთა დახმარება.
3. სამედიცინო (მძიმე დაავადებების დროს) მომსახურეობის დაფინანსება.
4. მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა.
5. გარდაცვლილთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსება.
6. ომის ვეტერანთა დახმარება.
7. მარტოხელა მშობლების დახმარება.
8. ობოლი ბავშვების დახმარება.
9. ხანდაზმულთა დახმარება.
10. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება.
11. უსახლკარო ბენეფიციართა მატერიალური დახმარება (ბინის ქირით უზრუნველყოფა).
12. სოციალურად დაუცველი ორსულების დახმარება.
13. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მატერიალური დახმარება.

14. უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობისათვის საშობაო, სააღდგომო საჩუქრებით დახმარება.

15. ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა ერთჯერადი დახმარება.

დახმარებები გაიცემა სპეციალურად შექმნილი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.

2019 წლის იანვრიდან დღემდე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში შემოსულია **852** განცხადება. 36 ბენეფიციარს ეთქვა უარი თხოვნაზე. მ/წლის ბიუჯეტიდან იანვრის (ოქმი N1) თვეში დაკმაყოფილდა გასული წლის **158** განცხადება. დღეის მდგომარეობით განსახილველია **113** განცხადება.

სოციალური დახმარების მიღებისა და გაცემის წესის მიხედვით დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიცა:

- ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება **126** ოჯახზე - 14300 ლარი.
- მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის მიზნით მრავალშვილიან 21 ოჯახზე გაიცა - 28000 ლარი. ტყუპების შემენაზე 1 ოჯახზე გაიცა 500 ლარი.
- დიალიზზე დამოკიდებულია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 12 პაციენტი, რომელთა დახმარებისათვის დებულებით გათვალისწინებულია თვეში თითოეულზე 150 ლარი. 2018 წლის ოქტომბრიდან დღემდე ამ მიზნით გაცემულია 20550 ლარი.
- გაცემის წესში გათვალისწინებული გვაქვს ორსულთა დახმარება. 2018 წლის ოქტომბრიდან დღემდე **19** სოციალურად დაუცველ ორსულს გავუწიეთ დახმარება თითოეულს თვეში 100 ლარის პროდუქტით. ამ მიზნით გაიცა სულ 7000 ლარი.
- გაცემის წესში გათვალისწინებული გვაქვს უსახლკარო, სოციალურად დაუცველი, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება/დაკმაყოფილება საცხოვრებელი ბინის ქირით. ამ მიზნით ჩვენთან რეგისტრირებული არის **3**(სამი) ოჯახი, რომლისთვისაც გავეცით ბინის ქირის საფასური დღემდე სულ 2700 ლარი (ერთი თვე - 100 ლარი).
- დიდი სამამულო ომის **1** ვეტერანზე 9 მაისთან დაკავშირებით გაიცა ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით. ამავე დღის აღსანიშნავად ვეტერანს (ვენედიქტე კაბოსნიძე) გადაეცათ სასაჩუქრე პაკეტი პროდუქტების სახით სულ 100 ლარის ღირებულების. 2018 წლის ოქტომბრიდან დღემდე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ 104 ვეტერანზე ვეტერანის დღესთან (17 ოქტომბერი) დაკავშირებით გავეცით 15 600 ლარი. თითოეულზე 150 ლარი.
- გარდაცვლილთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსებისათვის (მარტოხელა მიცვალებული, რომელსაც არ გააჩნია პირველი რიგის მემკვიდრე) დაკრძალვის

ხარჯის გამწევ **8** პიროვნებაზე გაიცა თანხა თითოეულზე 250 ლარი, სულ 2000 ლარი.

- ხანდაზმულთა დახმარებისათვის(90 წელს ზევით) 64 მოქალაქეზე გაცემულია 12100 ლ.
- მარტოხელა დედებზე (5 მოქალაქე) გაიცა თითოეულზე 250 ლარი, სულ 1250 ლარი.
- 18 წლამდე ასაკის 10 შშმ ბავშვზე გავეცით დახმარება თითოეულზე 250 ლარი, სულ 2500 ლარი.
- ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულ 2 პიროვნებას გავუწიეთ ერთჯერადი მატერიალური დახმარება თითოეულს 250 ლარის ოდენობით, სულ 500 ლარი.

2018 წლის ოქტომბრიდან დღემდე მძიმე ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურებისათვის სოციალური დახმარების მიღებისა და გაცემის წესის მე-8 მუხლის შესაბამისი პუნქტების მიხედვით გაიცა სულ **553** პირზე 126813.5 ლარი. მათ შორის ოპერაციული მომსახურებისათვის 87 პიროვნებაზე 44755.25 ლარი. ძვირადღირებული გამოკვლევებისათვის 45 კაცზე გაიცა 16858.25 ლარი. ონკოლოგიური 39 პაციენტისათვის 9650 ლარი. ღვიძლის ციროზის, ასციტის შემთხვევებში 5 პირზე-750 ლარი. შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის (84) - 11650 ლარი. ეპილეფსიით დაავადებულებზე (14) – 2050 ლარი. პარკისონით დაავადებულ პაციენტებზე (9) – 1350 ლარი. თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით დაავადებულებზე (61) - 9150 ლარი. სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებზე (23) – 3350 ლარი. გულის იშემიური დაავადებებით (116) – 16300 ლარი. ტოქსიკური ჩიყვით დაავადებულებზე (5) – 800 ლარი. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების მქონე პაციენტებზე (5) – 650 ლ. ცერემბრალური დამბლით დაავადებულებზე (8) – 1200 ლ. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის მოშლის მქონე დაავადებულებზე (27) – 3850 ლ. უბედური შემთხვევების დროს მიღებული ტრავმებით (8) – 1100 ლ. კანის მძიმე დაავადებების მქონე პაციენტებზე (1) – 100 ლ. ქრონიკული, არტერიული და ვენური სისხლის მიმოქცევის მოშლით (2) – 250 ლ. თანდაყოლილი ანომალიები (6) – 900 ლ. თირკმლის დაავადებები მძიმე მიმდინარეობით (2) – 300 ლარი. უსინათლო ინვალიდები (5) – 800 ლ.

სოციალურად დაუცველი და უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობისათვის (უმწეოთა სასადილო ბენეფიციარები/თანამშრომლები - 123 კაცი) გავეცით სააღდგომო, საშობაო საჩუქრები 3064.05 ლარის.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ორი უმწეოთა სასადილო (ქ.ცაგერი-80 და სოფ.ლაჯანა-38). სასადილოები ემსახურება **118** ბენეფიციარს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2018 წლის ოქტომბრიდან დღეის მდგომარეობით დახარჯულია 108890.27 ლარი.

მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა დახმარება გაუწია 2019 წლის მარტის თვეში მუნიციპალიტეტის სოფ. ბარდნალაში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს (თორნიკე ქვილითაია) საკვები პროდუქტებით (200 ლარის ღირებულების).

2019 წლის მარტის თვეში მერიაში შემოვიდა მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოსთან არსებული სისხლის ბანკიდან მომართა უსასყიდლო დონორებთან დაკავშირებით, სამსახურმა ორგანიზება გაუწია აქციას - გავიღოთ სისხლი და გადავარჩინოთ სიცოცხლე, დაახლოებით 60-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა აქციაში და გაიღო უსასყიდლოდ სისხლი ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის.

2019 წლის ივნისის თვეში ცაგერის მუნიციპალიტეტს სტუმრად ეწვია „ავერსის კლინიკის,“ ექიმები (12 პროფილის ექიმი), სამსახურის ორგანიზებით მოხდა ინფორმირება ადგილობრივი მოსახლეობის, ჩატარდა უფასო გამოკვლევები-კონსულტაცია, დარიგდა მედიკამენტები.

მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ყოველი თვის დასაწყისში მასპინძლობს ხონის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექიმებს, რომლებიც უფასო მომსახურებებს უწევენ აღრიცხვაზე მყოფ ადგილობრივ პაციენტებს და ამარაგებენ უფასო მედიკამენტებით.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში გასაწვევ წვევამდელთა რაოდენობა განისაზღვრა 12 წვევამდელით, ჩაირიცხა 7 წვევამდელი. საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულების და სამხედრო სამსახურის შესახებ“ 30-ე მუხლის სხვადასხვა პუნქტებით გადავადდა 60 წვევამდელი. 2019 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში გასაწვევ წვევამდელთა რაოდენობა განისაზღვრა 11 წვევამდელით, გამოძახებული იყო 43 წვევამდელი, ჩაირიცხა 2 , გადავადდა 30-ე მუხლით 41 წვევამდელი. 2019 წლის საშემოდგომო გაწვევის გეგმა გრაფიკი შეადგენს 13 წვევამდელს დღეის მდგომარეობით ჩარიცხულია 3 წვევამდელი. სამსახური მუშაობს წვევამდელთა გამწვევ კომისიაში გამოცხადებაზე.

2019 წლის აპრილის თვეში ჩატარებული იქნა 2002 წელში დაბადებული ჭაბუკების აღრიცხვა, აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 45 ჭაბუკი.

1992 წელში დაბადებული 20 წვევამდელი ჩაირიცხა რეზერვში.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური კანონის შესაბამისად ეხმარება მუნიციპალიტეტს მიზნების მიღწევაში, მის წინაშე არსებული რისკების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასებით.

სამსახური ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასებას. სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით. შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ფუნქციაა ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის, აგრეთვე აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურობის დაცულობის შეფასება.

ამ მიზნით შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა 2019 წლის წლიური გეგმის შესაბამისად ჩაატარა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 5

არასამეწარმეო/არაკომერციული იურიდიული პირისა და 1 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების 2018 წლის საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი. კერძოდ, შემოწმდა:

- ა(ა)იპ „ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“;
- ა(ა)იპ „ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკა“;
- ა(ა)იპ „ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების სამსახური“;
- ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურება“;
- ა(ა)იპ „ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი“
- შპს „ცაგერის მანქანა-ტრაქტორთა პარკი“.

აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები: საბიუჯეტო რესურსებისა და სახელმწიფო შესყიდვების მართვაში. ამ მიმართულებებით ხარვეზები გამოვლინდა თითქმის ყველა, განსაკუთრებით კი დაგეგმვის ეტაპზე. ასევე, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით. რიგ შემთხვევებში აუდიტის ობიექტები არ ადგენენ ფინანსურ ანგარიშგებას; არ ახდენენ ბუღალტრულ გატარებებს; არასწორად აღრიცხავენ სამეურნეო ოპერაციებს.

აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ გაცემულია 41 რეკომენდაცია.

ამ ეტაპზე, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური ახორციელებს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების: სახელმწიფო შესყიდვების; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ზედამხედველობის სამსახურების 2018 წლის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტს.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ღირებულების წარმოჩენა და სარგებლის მუდმივი ზრდა სამსახურის უმთავრესი ამოცანაა. სამსახურის მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაში, რომლებიც დაადგინა ხელმძღვანელობამ მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვის

მიზნით. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სამსახურის წინაშე არსებული შიდა და გარე გამოწვევების ანალიზს, მათთან გამკლავების საუკეთესო გზების მოძიებას. სამსახური აქტიურად აგრძელებს მუშაობას სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების დროულ და ეფექტურად მიღწევაზე.

ბატონებო და ქალბატონებო,

როგორც თქვენთვის ცნობილია რეფორმის ფარგლებში მიმდინარეობს უძრავი ქონების (მიწის) რეგისტრაცია, რამაც გარკვეულად დაზოგა მიწის მესაკუთრეთა მატერიალური და ფინანსური საშუალებები და გამარტივებული წესით მოხდა ქონების რეგისტრაცია და დაკანონება მესაკუთრეებზე. ამჟამად მუნიციპალიტეტში 2123 მიწის მესაკუთრემ უკვე დაირეგისტრირა მიწის ნაკვეთები, რაც საერთო რაოდენობის 67%-ია. ასევე აქტიურად საქმიანობს უნებართვოდ დაკავებული მიწების აღიარების კომისია, რომელმაც 2019 წელს განიხილა 83 საქმე, საიდანაც დადებითად გადაწყდა 51. გაუხანგრძლივდა შესწავლის ვადა 14 პიროვნებას, ხოლო კანონიერი მიზეზით უარი ეთქვა დაკანონებაზე 18 განმცხადებელს.

აქტიურად მუშაობს მაღალმთიანობის სტატუსის განმსაზღვრელი საბჭო, რომელმაც 2019 წელს უკვე ჩაატარა 10 სხდომა, სადაც მაღალმთიან რეგიონში მუდმივად მცხოვრების სტატუსი მიენიჭა 162 პიროვნებას. პერიოდულად ჩატარდა მაღალმთიანობის მონიტორინგი. გადამოწმებული იქნა 2000-ზე მეტი პიროვნება და შედეგები განხილული იქნა საბჭოს სხდომაზე.

2019 წლის აგვისტოში ცაგერის მუნიციპალიტეტსა და ლატვიის რესპუბლიკის ცარნიკოვის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთმეგობრობის

მემორანდუმი, რისთვისაც ცარნიკოვის მუნიციპალიტეტს სტუმრობდა ცაგერის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი დელეგაცია.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, ჩვეულებრივი წესით არსებული ვაკანსიების დაკომპლექტება ხდება საკონკურსო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ჩატარებული კომისიის 7 სხდომა. სხვადასახვა ტრენინგებზე კვალიფიკაცია აიმაღლა მერიის 27 საჯარო მოხელემ და მოსამსახურემ.

კიდევ უფრო მეტი გეგმები გაგვაჩნია 2020 წლისათვის, სწორად რომ განვსაზღვროთ პრიორიტეტები, გამოვავლინოთ ნაკლოვანებები და თქვენი აზრის გათვალისწინებით შევადგინოთ მომავალი წლის ბიუჯეტი, სწორედ ამას ემსახურება ჩვენი შეხვედრებიც. არ მინდა ისე გამოგოთ, რომ თითქოსდა ვერ ვხედავდეთ და ვგრძნობდეთ იმ ნაკლოვანებებს რომელიც ვერ კიდევ თავს იჩენს ჩვენს საქმიანობაში. მინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენი ყველა წინადადება, შენიშვნა, მოსაზრება შესაძლებლობის ფარგლებში იქნება გათვალისწინებული.

გმადლობთ ყურადღებისათვის!

ა.უგრეხელიძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი